

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო**

ქ. ბათუმი

25 ივლისი, 2022 წელი

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/33

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 და 44-ე მუხლების, 45-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის“ 1.2 და 1.3 პუნქტებისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 17 ივნისის სხდომის (ოქმი N 25) გადაწყვეტილების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დეპარტამენტში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) მიმართულებით 2022 წლის 20 სექტემბრიდან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

2. კონკურსი ჩატარდეს ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის“ შესაბამისად (დანართი №1).

3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) საბუთების მიღება იწარმოებს 2022 წლის 01 სექტემბრიდან 06 სექტემბრის ჩათვლით (გარდა შაბათ-კვირისა), 10-დან 16-საათამდე, საპროცედურო კომისიაში - ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, პირველი სართული, ოთახი №103 (მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - batukonkursi@batu.edu.ge);

ბ) კონკურსი ჩატარდეს 2022 წლის 08 სექტემბერს;

გ) კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე batu.edu.ge არაუგვიანეს 2022 წლის 12 სექტემბრისა;

დ) კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2022 წლის 20 სექტემბრიდან.

4. კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი განათლების, აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ნოტარიულად დამოწმებული ასლი (უცხოენოვანი დოკუმენტების შემთხვევაში დამატებით საჭიროა ქართულ ენაზე თარგმანის სანოტარო წესით დამოწმება).

5. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია გაეცნოს ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №05-01/05 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესს“ და გამოხატოს წერილობითი თანხმობა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში მხოლოდ სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ და აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში აფილირების შეთანხმების გაფორმებით კვლავ დაადასტუროს.

6. დამტკიცებულ იქნეს კონკურსანტის განცხადების (დანართი №2), ანკეტის (დანართი №3), საჩივრის (დანართი №4), განცხადებისა და საჩივრის მიღების შესახებ ცნობების (დანართი №5, დანართი №6), კონკურსის მონაწილეთა და საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალების (დანართი №7, დანართი №8) ფორმები.

7. ინფორმაცია (დანართი №9) კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ბხსუ-ს საინფორმაციო დაფაზე.

8. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე**

მ. ჭიჭილეიშვილი